

**ზედსართავი სახელების წარმოება ბერძნულიდან მომდინარე
მა-ზე დაბოლოებულ არსებით სახელთაგან***

მა-ზე დაბოლოებულ ბერძნულ არსებით სახელთაგან ზედსართავ სახელთა წარმოებისას ჩნდება რიგი სადავო საკითხებისა (აღნიშნული საკითხი საფუძვლიანად დაამუშავა აკადემიკოსმა **სიმონ ყაუხჩიშვილმა**, რომლის სტატიასაც ეყრდნობა ჩვენი წინამდებარე ნაშრომი).

ერთ შემთხვევაში ბერძნულიდან შემოსულ სახელს უშუალოდ ემატება **-ურ** სუფიქსი და ვიღებთ შესაბამის ზედსართავ სახელს:

პროგრამა + ურ > პროგრამული
ეპიგრამა + ურ > ეპიგრამული...

მეორე შემთხვევაში აღებულია ბერძნული სახელის ფუძე **-ატ** ელემენტით და მას ერთვის იგივე **-ურ** ბოლოსართი:

პრობლემა – პრობლემატ > პრობლემატური;
სისტემა – სისტემატ > სისტემატური

შესაძლებელია, ამათ პარალელურად, რუსული ენის გავლენით, **-ო-ურ** სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდებოდეს: **პრობლემატიური, სისტემატიური, სქემატიური** და სხვ.

უპირველეს ყოვლისა, ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ფუძისგან ვაწარმოთ **მა**-ელემენტთან სიტყვათაგან ზედსართავი სახელი: ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძისაგან თუ თვით ბერძნული არსებითი სახელის ფუძისგან.

* აღნიშნული საკითხი არის არსებული ნორმის – „ზედსართავი სახელების წარმოება ბერძნულიდან მომდინარე **მა**-ზე დაბოლოებულ არსებით სახელთაგან“ – გადამუშავებული ვარიანტი.

თუ საფუძვლად ავიღებთ ქართულში დამკვიდრებულ არსებით სახელებს, მაშინ შემდეგ ფორმებს მივიღებთ: **დრამა-დრამული, სისტემა-სისტემური, სქემა-სქემური...**

მეორე მხრივ, თუ ამოსავლად მივიჩნევთ ბერძნული -ატ-ელემენტის არსებითი სახელის ფუძეს (**დრამატ-, სისტემატ-** და სხვას), მაშინ დამატებით ისმის კითხვა: რომელი ვარიანტია მართებული: **დრამატული** თუ **დრამატიული?** **სისტემატური** თუ **სისტემატიური** და სხვ.

შენიშვნა: ამ არსებით სახელთაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები ძველ ქართულში არ გვხვდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სიტყვას „**დრამატიკოსობა**“, რომელიც γράμμα სიტყვისგან კი არ არის ნაწარმოები, არამედ მზა სიტყვისგან γράμμαται. არის კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც τ-სუფიქსიანი ფორმითაა შემოსული: „**დრამატურგია**“, მაგრამ აქაც მზა არსებითი სახელია საფუძველი: δραματουργία და არა δράμα, δράματος.

მეორე საკითხი (ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -**ურ** ბოლოსართით) უკვე გადაწყვეტილია; მიღებულია გარკვეული წესი, რომ უნდა იწერებოდეს **კონკრეტული** და არა **კონკრეტიული**, **აბსოლუტური** და არა **აბსოლუტიური**. ცხადია, ეს წესი გავრცელდება აქ წარმოდგენილ შემთხვევებზედაც და, ამდენად, ყველგან -**ურ** სუფიქსი იქნება გამოყენებული.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ფუძე ავიღოთ ამოსავლად, ასევე საერთო წესის მიხედვით წყდება, კერძოდ: როდესაც ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძე უნდა იქნეს აღებული. მაშასადამე, ზედსართავი სახელი უნდა ვაწარმოოთ არა **დრამატ**, არამედ **დრამა** ფუძისგან. ამის მიხედვით გვექნება: **დრამა – დრამული, პრიზმა – პრიზმული, სისტემა – სისტემური, სქემა – სქემური, ეპიგრამა – ეპიგრამული, ტრავმა – ტრავმული** და სხვ. მაგრამ, თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი **მა**-დაბოლოების არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ქართულში ფორმდება ბერძნული **ატ**-ელემენტის ფუძისაგან: **პრაგმატ-ულ-ი, სომატ-ურ-ი** და სხვა...

არ არის აგრეთვე გამორიცხული, რომ წარმოების დასაყრდენად მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძე, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია; მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად სავსებით დასაშვებია. გარდა ამისა, ფართოდ უნდა გაეხსნას გზა, ერთი მხრივ, სხვა აფიქსებით წარმოებას, ხოლო, მეორე მხრივ, ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას უცხოური ზედსართავის გადმოსაცემად. ამრიგად, დასაშვები იქნება პარალელური ფორმები: **პრობლემა – პრობლემური, საპრობლემო, პრობლემატური; დრამა – დრამული, დრამატული** და აგრეთვე **დრამის: დრამის თეატრი.**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. ბერძნულიდან მომდინარე **მა**-ზე დაბოლოებული არსებითი სახელებისგან ზედსართავთა წარმოებისას **-იურ** და **-ურ** სუფიქსთაგან მხოლოდ **-ურ** უნდა იქნეს გამოყენებული: **პრაგმატ-ულ-ი** და არა **პრაგმატ-ი-ულ-ი**, **სომატ-ურ-ი** და არა **სომატ-ი-ურ-ი**, **პნევმატ-ურ-ი** და არა **პნევმატ-ი-ურ-ი...**;
2. თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი მადაბოლოებანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ქართულში ფორმდება ბერძნული **ატ**-ელემენტთან ფუძისაგან: **პრაგმატ-ულ-ი, სომატ-ურ-ი**;
3. როდესაც ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძე უნდა იქნეს ადებული: **დრამა – დრამული, პრიზმა – პრიზმული...** გამონაკლისის სახით წარმოების დასაყრდენად შესაძლებელია მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძე, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია. ასეთ შემთხვევაში ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად სავსებით დასაშვებია: **დრამა – დრამატული / დრამული.**

ამასთანავე, თანამედროვე ქართულში შეინიშნება ტენდენცია უკანასკნელი ტიპის პარალელურ ფორმათა შორის ნიუანსობრივი სხვაობის დამყარების, ან მათი გარკვეული ტიპის კონსტრუქციებში გადანაწილებისა, კერძოდ, შდრ.:

სისტემური – სისტემატური

სისტემური (სისტემის მიხედვით გაკეთებული) **ანალიზი**
სისტემატური (რეგულარული) **ვარჯიში**

სქემური – სქემატური

სქემური (სქემის სახით მოცემული) **გეგმა**
სქემატური (ბუნდოვანი, გამოუკვეთელი) **სახე, ხასიათი**
(ნაწარმოებში)

დრამული – დრამატული

დრამული (დრამის ფორმის) **ნაწარმოები, თბუღლება**
დრამატული (დრამატიზმით აღსავსე, დამაბული) **სიტუაცია**
ასევე: **დრამატული თეატრი**

პრობლემური – პრობლემატური

პრობლემური სესხი
პრობლემატური საკითხი

ტრავმული – ტრავმატული

ტრავმული დაზიანება
ტრავმატული იარაღი

პნევმური – პნევმატური

პნევმური (გონითი) **ნაწილი**
პნევმატური პისტოლეტი

ამავე ტიპისაა შემდეგი სახის შეპირისპირება:

თემი > **თემური წყობილება**

თემა < **თემატური კატალოგი**

ზემოდასახელებული პარალელური ფორმებიდან სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ „**სისტემა – სისტემატური**“ ვარიანტებია შინაარსობრივად გამიჯნული (ქართული ენის პარონიმთა ლექსი-

კონში); ასევე, „**თემური – თემატური**“ – ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

თემურ-ი (თემურისა) თემის დამახასიათებელი. პროლეტარიატს «ემსახურება» კროპოტკინიც, როცა ის დაქუცმაცებულ, ფართო სამრეწველო ბაზისს მოკლებულ თემურ «სოციალიზმს» სთავაზობს (**სტალინი**). თემური წყობილების ნაშთებმა ჩვენს მთიელებში მე-19–20 საუკუნეებამდისაც მოაღწია (**ს. ჯანაში**).

თემატურ-ი (თემატურისა) თემასთან დაკავშირებული, თემიდან გამომდინარე, თემით (იხ. თემა) განსაზღვრული. [სამხატვრო] აკადემიაში სტუდენტთა შემდგომი დაოსტატების მიზნით ხშირად ეწყობა თემატური კონკურსები (**«ლიტ. და ხელოვნ.»**). [გაზეთის] რედაქცია რეგულარულად აქვეყნებს თემატურ გვერდებს პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად (**«კომ.»**).

დანარჩენი ვარიანტები კი ერთმანეთის სინონიმებადაა მიჩნეული (მათ შორის, იგივე „**სისტემა – სისტემატური**“ სახის შეპირისპირება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში) და ილუსტრაციები სრულიად არ გადმოსცემს თანამედროვე ქართულის მონაცემებს (მაგალითები მოყვანილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან), შდრ.:

სისტემური – სისტემატური

სისტემურ-ი (სისტემურისა) სისტემის მიხედვით წარმოებული, სისტემის ხასიათისა, – სისტემატური. კავკასიის არქეოლოგიურ შესწავლას სისტემური გეგმიანი მუშაობის თვისების მაგიერ შემთხვევითი ხასიათი აქვს (**ივ. ჯავახ.**).

სისტემატურ-ი (სისტემატურისა) 1. რაც სისტემას ქმნის, სისტემას მისდევს, სისტემის ხასიათისა, გარკვეული წესის მიხედვით განლაგებული, წარმოებული. სისტემატური დალაგება ვისიმე შეხედულებებისა. – სისტემატური კატალოგი. 2. რაც გამუდმებით მეორდება, – განუწყვეტელი. სისტემატური მეცადინეობა. – საბჭოთა კავშირში ხორციელდება ფართო მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირება (**«კომ.»**). **სისტემატურად** ზმნს. სის-

ტემის მიხედვით, – გამუდმებით, განუწყვეტლივ. საჭიროა სისტემატურად ვმუშაობდეთ კადრებთან (**«კომ.»**).

სქემური – სქემატური

სქემურ-ი (სქემურისა) იგივეა, რაც სქემატური. ადამიანთა დაყოფა ზემოხსენებულ ორ ტიპად სრულიად სქემურია; სინამდვილეში არ გვხვდება სუფთა ტიპები (**ა. ზურაბ.**).

სქემატურ-ი (სქემატურისა) 1. სქემის ხასიათისა. მანქანის სქემატური გამოხატვა. 2. ზოგად, ძირითად ხაზებში მოცემული. ბავშვის ხატვის ეს საფეხური, სქემატური ხატვა, ნათლად გვიჩვენებს, რომ ბავშვის აღქმა თვალსაჩინოდ უახლოვდება დიდისას (**დ. უზნ.**). [პოეტი] ქმნის იდეალური სატრფოს წარმოდგენას, არა სქემატურს, არა აბსტრაქტულს, არამედ ადამიანურსა და ზემეპირიულს ერთსა და იმავე დროს (**გ. ქიქ.**).

დრამული – დრამატული

დრამულ-ი (დრამულისა) დრამის დამახასიათებელი, სადრამო, დრამისა, დრამატული.

დრამატულ-ი (დრამატულისა) 1. დრამის დამახასიათებელი. დრამატული თეატრი. – კონკურსმა ხელი უნდა შეუწყოს სრულფასოვანი დრამატული ნაწარმოების შექმნას (**«ლიტ. და ხელოვნ.»**). ჭიათურის დრამატულმა წრემ თავისი წარმოდგენები დაიწყო სარდაფში მოწყობილი პატარა სცენით (**«სოფ. ცხ.»**). იყო... რუსული დრამატული დასი (**ი. გრიშ.**). 2. დრამატიზმით აღსავსე. «გიგლიაში» თითქოს ფშვავლებისა და მოთარეშე ლეკების ბრძოლის ერთი დრამატული ეპიზოდია მოცემული (**გ. ქიქ.**). ანდრიას ბედი კი ბევრად უფრო დრამატული იყო (**ს. კლდ.**). 3. მუს. მკვეთრი ტემბრისა, ძლიერი, ლირიკულისაგან განსხვავებული (ხმა) (საპირისპ. ლირიკული). დრამატული ტენორი. – [ნატალია] არაჩვეულებრივი ტემბრის დრამატული მეცო-სოპრანო აღმოჩნდა (**მ. ქორ.**). ამბობს ძლიერ დრამატულ ბანს (**გ. გეგეშ.**).

ტრავმული – ტრავმატული

ტრავმულ-ი (ტრავმულისა) მედიც. ტრავმის ხასიათისა; ტრავმასთან დაკავშირებული, ტრავმით გამოწვეული. ხსენებულ მდგომარეობას იწვევს აგრეთვე ტვინის სიმსივნეები და ქალას ტრავმული დაზიანებანი (**ა. ზურაბ.**).

ტრავმატულ-ი (ტრავმატულისა) მედიც. იგივეა, რაც ტრავმული. ტრავმის ნიადაგზე აღმოცენებული ე. წ. ტრავმატული ამნეზიის შემთხვევები (**დ. უზნ.**).

ვფიქრობთ, თანამედროვე ქართულში ზემოჩამოთვლილ პარალელურ ფორმათა გამიჯვნის მიზნით სისტემური და სტატისტიკური სახის კვლევა უნდა განხორციელდეს და შემოთავაზებულ იქნეს ახალი სანორმო რეკომენდაციები.

ლიტერატურა

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, 1970.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, თბილისი, 2016.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1998.

ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 2011.

Nino Jorbenadze

Deriving Adjectives from Nouns Ending with *ma-* that Have the Greek Origin

Summary

When deriving adjectives from the nouns that have the Greek origin and end with *ma-*, only the suffix *-ur* should be used out of the suffixes *-iur* and *-ur*, e.g. *pragmat-ul-i* and not *pragmat-i-ul-i*, *somat-ur-i* and not *somat-i-ur-i*, *pnevmat-ur-i* and not *pnevmat-i-ur-i*, etc.

1. If an adjective is a borrowing and the corresponding nouns with the ending *ma-* is not found in Georgian, the suffix is added to the base with the element *at* in Georgian, e.g. *pragmat-ul-i*, *somat-ur-i*, etc.
2. When a foreign noun enters the Georgian language, the base of a noun established in the Georgian language should be used to derive an adjective, e.g. *drama – dramuli*, *prizma – prizmuli*, etc. As an exception, the base of a foreign adjective can also be used if this word formation is dominant in the literary language. In this case, deriving an adjective from the base of a borrowed noun in parallel is quite permissible, e.g. *drama – dramaṭuli /dramuli*.

In addition, in modern Georgian there is a tendency to establish a nuanced contextual difference between the latter type of parallel forms or to distribute them into certain types of constructions.

In order to differentiate the above-mentioned parallel forms in Georgian, systematic and statistical research should be carried out and new recommendations for norms should be offered.